



## სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

13 დეკემბერი 2023



N 705/ს

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. ლახამზე შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ ჰიდროელექტროსადგურის კასკადის („ლახამი 1 ჰესი“ – 6,4 მგვტ დადგმული სიმძლავრით და „ლახამი 2 ჰესი“ – 9,6 მგვტ დადგმული სიმძლავრით) ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია) სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. ლახამზე არსებული ჰიდროელექტროსადგურის კასკადის („ლახამი 1 ჰესი“ – 6,4 მგვტ დადგმული სიმძლავრით და „ლახამი 2 ჰესი“ – 9,6 მგვტ დადგმული სიმძლავრით) ექსპლუატაციის პირობების ცვლილების (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია) სკრინინგის განცხადება.

2015 წელის 24 ნოემბერს მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. ლახამზე შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ ჰიდროელექტროსადგურის კასკადის („ლახამი 1 ჰესი“ – 6,4 მგვტ დადგმული სიმძლავრით და „ლახამი 2 ჰესი“ – 9,6 მგვტ დადგმული სიმძლავრით) განთავსებაზე გაიცა №68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო 2021 წლის 27 აპრილს, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე – გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-545). ამასთან, 2022 წლის 22 თებერვალს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ გაცემულია №2-122 ბრძანება, მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. ლახამზე შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ ჰიდროელექტროსადგურის კასკადის („ლახამი 1 ჰესი“ – 6,4 მგვტ დადგმული სიმძლავრით და „ლახამი 2 ჰესი“ – 9,6 მგვტ დადგმული სიმძლავრით) განთავსებაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ 2021 წლის 27 აპრილის №2-545 მინისტრის ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის საფუძველზე შეიცვალა №68 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის პირველი და მე-6 პუნქტები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჰიდროელექტროსადგურის კასკადი მოწყობილია მესტიის მუნიციპალიტეტში, ჭუბერის თემში, მდ. ლახამის ხეობაში, ზღვის დონიდან 1380-706 მ ნიშნულებს შორის არსებულ მონაკვეთში („ლახამი 1 ჰესი“ განთავსებულია ზღვის დონიდან 1380-1047 მ ნიშნულებს შორის, ხოლო „ლახამი 2 ჰესი“ – 1045-706 მ ნიშნულებს შორის). „ლახამი 1 ჰესის“ დადგმული სიმძლავრე შეადგენს 6,4 მგვტ-ს, ხოლო „ლახამი 2 ჰესის“ – 9,6 მგვტ-ს. კასკადის შემადგენლობაში შედის ჰესების შენობები და სათავე ნაგებობები. „ლახამი 1 ჰესის“ შენობაში მოწყობილია ორი, ხოლო „ლახამი 2 ჰესის“ შენობაში – სამი

ერთეული „პელტონის“ ტიპის ტურბინა. წყლის დერივაცია ხორციელდება მიწისქვეშა წნევითი მილსადენის საშუალებით.

აღსანიშნავია, რომ სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება, რის შედეგადაც დადგინდა, რომ კომპანიის მიერ „ლახამი 2 ჰესის“ შენობის მიმდებარედ მოწყობილია ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა, რაც არ იყო გათვალისწინებული გზშ-ის ანგარიშისა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიხედვით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ მიმართ, 2023 წლის 11 დეკემბერს, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79<sup>7</sup> მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №085109 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნება მესტიის მაგისტრატ სასამართლოს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით შეიცვალა „ლახამი 2 ჰესის“ შენობის ადგილმდებარეობა და ასევე, ჰესის შენობაში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით, მოეწყო ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, „ლახამი 2 ჰესის“ შენობა განთავსდა საბაზისო პროექტით განსაზღვრული ადგილიდან 25 მეტრის დაშორებით, ჩრდილო-დასავლეთის მიმართულებით, იმავე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 42.15.32.535). ჰესის შენობის განთავსების GPS კოორდინატებია: X-270450, Y-4763829; X-270441, Y-4763826; X-270452, Y-4763788; X-270461, Y-4763791. დოკუმენტის მიხედვით, შენობის გეომეტრიული ზომები, აღჭურვილობა და სხვა პარამეტრები დარჩა უცვლელი. უახლოესი საცხოვრებელი სახლი ჰესის შენობის განთავსების ადგილიდან დაშორებულია დაახლოებით 40 მეტრით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით „ლახამი 2 ჰესის“ ტერიტორიაზე (GPS კოორდინატები: X-270458 Y-4763790) სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შეგროვებისთვის, საასენიზაციო ორმოს ნაცვლად, მოეწყო „აუგუსტ AT-8-eco 1“-ის ტიპის ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარი, რომელიც გათვლილია 4-8 ადამიანზე. აღნიშნული დანადგარი წარმოადგენს ცილინდრული ფორმის მოდულს (დიამეტრი: 1440 მმ, სიმაღლე: 2100 მმ) და მისი ეფექტურობა შეადგენს 98%-ს. დოკუმენტის მიხედვით, ვინაიდან, შემცირდა კასკადზე დასაქმებული პერსონალის რაოდენობა და თითოეულ ჰესზე 15-15 ადამიანის ნაცვლად, დასაქმებულია 4-4 ადამიანი, შეიცვალა ჰესის ექსპლუატაციის პროცესში სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულებით საჭირო წყლის რაოდენობა, რაც წელიწადში შეადგენს 248,2 მ<sup>3</sup>-ს. შესაბამისად, ჰესის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების რაოდენობა, 5%-იანი დანაკარგის გათვალისწინებით, იქნება წელიწადში 235,79 მ<sup>3</sup>.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, „ლახამი 2 ჰესის“ შენობის ტერიტორიაზე წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები, 30 მ სიგრძისა და 100 მმ დიამეტრის მილით, ჩაედინება გამწმენდ დანადგარში, სადაც საწყის ეტაპზე გადის ანაერობულ სივრცეს. აღნიშნულ სივრცეში ხორციელდება ჩამდინარე წყლების მექანიკური გასუფთავება და მყარი ნაწილაკებით დაბინძურების დეკომპოზიცია, ასევე, აზოტის სრული, ხოლო ფოსფორის ნაწილობრივი დეგრადაცია. ანაერობული სივრცე დაყოფილია რამდენიმე შიდა გამანაწილებელი კედლით, რაც ქმნის ვერტიკალური ნაკადის ლაბირინთს, სადაც ყალიბდება შიდა ცირკულაცია. გაწმენდის შემდგომ ეტაპზე, ჩამდინარე წყლები, დაბალი სიჩქარით, გადადის აერირებულ სივრცეში, სადაც ჟანგბადის ზეგავლენით ხორციელდება

ორგანული დამაბინძურებლების ბიოლოგიური დეგრადაცია და ამიაკის აზოტის ნიტრიფიკაცია. აერაციის სისტემაში ჰაერის მიწოდება ხდება დიაფრაგმული კომპრესორებით, რომლებიც მოთავსებულია ბიოლოგიური რეაქტორის გარეთ. დიაფრაგმული კომპრესორებით მიწოდებული ჰაერი რეგულირდება მიკროპროცესორით, რომელიც ჩამდინარე წყლების ნაკადს არეგულირებს დატვირთვის მიხედვით. გაწმენდის საბოლოო ეტაპს წარმოადგენს სეპარაცია, რაც გულისხმობს გაწმენდილი წყლის განცალკევებას აქტივირებული შლამისგან. სუფთა წყალი, 6 მ სიგრძისა და 100 მმ დიამეტრის მილით, ჩაედინება მდ. ლახამში, ჰესის ქვედა ბიეფში, ხოლო შლამი ბრუნდება სისტემაში. წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატებია: X- 270463, Y-4763789. ბიოლოგიური გაწმენდის გავლის შემდეგ, ჩამდინარე წყლებში დამაბინძურებელ ნივთიერებათა ხარისხობრივი მაჩვენებლები იქნება: შეწონილი ნაწილაკები – 25,0 მგ/ლ; ჟმბ – 15,0 მგO<sub>2</sub>/ლ; ჟქმ – 40,0 მგO<sub>2</sub>/ლ; საერთო აზოტი – 15,0 მგ/ლ; საერთო ფოსფორი – 2,0 მგ/ლ.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში უსიამოვნო სუნის გავრცელება მოსალოდნელია ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარის ექსპლუატაციის ეტაპზე ორგანული ნივთიერებების ბიოდეგრადაციის პროცესში წარმოქმნილი მავნე აირებით. დოკუმენტის მიხედვით, გამწმენდი დანადგარის ტიპისა და მცირე წარმადობის გათვალისწინებით, მისი ფუნქციონირება არ უკავშირდება უსიამოვნო სუნის გავრცელებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, „ლახამი 2 ჰესის“ ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროებია ჰესის შენობაში განთავსებული ჰიდროაგრეგატები, ასევე, ბიოლოგიურ გამწმენდ დანადგარში დამონტაჟებული მცირე წარმადობის ელექტროტუმბოები. აღსანიშნავია, რომ ჰიდროაგრეგატების (3 ერთეული ტურბინა) ერთდროულ ფუნქციონირებას მუდმივი ხასიათი არ აქვს და ისინი მოთავსებულია დახშულ კორპუსში (გარსაცმში), რომელსაც ხმაურის შთანთქმის მაღალი მაჩვენებელი ახასიათებს. ამასთან, ხმაურის გავრცელებას ამცირებს ჰესის შენობის ინტერიერში მოწყობილი ხმაურსაიზოლაციო მასალები, თავად შენობა, ასევე, შენობის შემოგარენში არსებული ხე-მცენარეული საფარი და რელიეფური პირობები. რაც შეეხება, ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარის მცირე წარმადობის ელექტროტუმბოებს, ისინი განთავსებულია მიწის ქვეშ, დახურულ სივრცეში და არ არის დაკავშირებული ხმაურის გავრცელებასთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მოსალოდნელი ხმაურის დონის ზრდას ადგილი არ აქვს და შეადგენს 30-35 დბა-ს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია წელიწადში დაახლოებით 1,5 მ<sup>3</sup> მოცულობის შლამის წარმოქმნა, რომელიც შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „ლახამი 2 ჰესის“ შენობის ტერიტორია არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. როგორც უკვე აღნიშნა, ჰესის შენობის გადატანა მოხდა საბაზისო პროექტით განსაზღვრული მიწის ნაკვეთის (ს/კ: 42.15.32.535) საზღვრებში, პირვანდელი განთავსების ადგილიდან დაახლოებით 25 მეტრში და დამატებითი ტერიტორიის ათვისებას ადგილი არ ჰქონია, ხოლო ჩამდინარე წყლების ბიოლოგიური გამწმენდი დანადგარი მოეწყო ჰესის შენობის გვერდით, ანთროპოგენურად სახეცვლილ ტერიტორიაზე, სადაც ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილება, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, არ არის დაკავშირებული კუმულაციური ზემოქმედების ზრდასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაიგზავნა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილება საქმიანობის სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, არ არის დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების ზრდასთან.

**ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,**

### **ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ მესტიის მუნიციპალიტეტში, მდ. ლახამზე შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ ჰიდროელექტროსადგურის კასკადის („ლახამი 1 ჰესი“ – 6,4 მგვტ დადგმული სიმძლავრით და „ლახამი 2 ჰესი“ – 9,6 მგვტ დადგმული სიმძლავრით) ექსპლუატაციის პირობების ცვლილება (ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაცია) არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს 2021 წლის 27 აპრილს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-545) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
3. შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“ ვალდებულია სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოს „ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება, წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით;
4. შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტისთვის“ ზემოაღნიშნული პირობა წარმოადგენს 2021 წლის 27 აპრილს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-545) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მისი შესრულება სავალდებულოა;
5. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
6. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
7. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალსა და მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე;

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

